პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნიზმის სხივი

1990 30 იანვარი შაბათი

№13 (6240) ფასი 3 კაპ.

გაზეთი დაარსდა 1933 წლის 10 მაისს

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

КОМУНИЗМИС СХИВИ орган Цагерекого райкома КП Грузии и райсовета народных депутатов

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რაიონის მშრომელებო! ჩვენი წვლილი შევიტანოთ იმ ბრძოლასა და შრომაში, რომელსაც რესპუბლიკის მშრომელები ეწევიან ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის**

## სოფელი: წლის შედეგები ჯამდება

ახლა სოფლის მშრომელთა უპირველესი მიზანი ეკონომიკური მართვის რადიკალური რეფორმაა. რაიონის კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობასა და სამეურნეობათშორისო ორგანიზაციებში წლის მანძილზე გაწეული შრომის შეჯამება უნდა მოხდეს საანგარიშო კრებებზე. აგროსამრეწველო გაერთიანების მიერ უკვე შედგენილია გრაფიკი, რომლის მიხედვით ეს საპასუხისმგებლო პერიოდი სამეურნეობათშორისო ორგანიზაციებში უკვე დაიწყო, ხოლო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობაში კი იგი პირველი თებერვლიდან იწყება და 10 თებერვლამდე უნდა დამთავრდეს. მიმდინარე წელს სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობა უნდა წარიმართოს საარენდო და ოჯახური იჯარის უცილობელი დანერგვის, გლეხური მეურნეობების, კოოპერატივების ფართო ქსელის შექმნის, გლეხკაცის ყოფა-ცხოვრების, შრომის პირობების გაუმჯობესებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის ზრუნვის ნიშნით, წლევანდელი საანგარიშო კრებები პრობლემათა კოლექტიური განხილვის, გულახდილი და პრინციპული ბჭობის ორგანო უნდა გახდეს.

საანგარიშო მოხსენებაში უფრო მეტი ყურადღება მიღწეულის გაშუქებასა და ფუჭსიტყვაობას კი არ დავუთმოთ, არამედ გულახდილად, დაუფარავად უნდა ითქვას მწვავე პრობლემებზე, რომლებიც შრომით კოლექტივს, სოფლის მშრომელებს აინტერესებთ და აღელვებთ.

სოფლის მშრომელებს უნდა მიეცეთ სრული საშუალება იმისა, უნდობლობა გამოუცხადონ ბიუროკრატ, გარდაქმნის მოწინააღმდეგე ხელმძღვანელებს, გამოხატონ თავიანთი პოზიცია, გამოკვეთონ თავიანთი აზრი.

ახლა, როცა გულახდილი დიალოგი იმართება პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელებსა და ფორმალურ თუ არაფორმალურ გაერთიანებებთან, როცა გამოკვეთილია აზრი პლურალიზმისა და კონსოლიდაციისაკენ, არავისა აქვს უფლება განზე დადგეს, დემოკრატიული ძალების, სოფლის მშრომელთა მოთხოვნები რეაგირების გარეშე დატოვოს.

კრებებზე სამეურნეო, სოციალურ საკითხებთან ერთად ხაზი უნდა გაესვას სოფლად კულტურულ-აღმზრდელობით მუშაობას, იმას, თუ რა გავლენას ახდენს ეს მუშაობა გარდაქმნის ძირითადი ამოცანების განხორციელებაზე, დემოგრაფიაზე, ეკონომიკურ რეფორმაზე, საზოგადოების დემოკრატიზაციაზე, კრებებზე მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს ასევე ეკოლოგიის საკითხებს.

წარსულს უნდა ჩაბარდეს შაბლონი, როცა გამგეობის მიერ გაწეულ მუშაობას კრებებზე ყოველთვის დამაკმაყოფილებელი შეფასება ეძლეოდა.

ახლანდელ ეტაპზე რესპუბლიკაში და თვით ჩვენს რაიონშიც ამოტივტივდა და გამოაშკარავდა მრავალი მტკივნეული საკითხი, დაგროვდა უამრავი გადასაჭრელი პრობლემა, ამიტომ საჭიროა უსწრაფესი რეაგირება მოხდეს კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე, პრინციპულად დაისვას წამოჭრილი საკითხი შესაბამისი ორგანოების წინაშე, თუმცა, ახლა მარტო საკითხის დაყენებაც აღარ კმარა.

ასე, რომ ახლა საანგარიშო კრებებზე სამომავლო გზების ახლებურად გააზრება, საანგარიშო და ეკონომიკური დარგის მუშაკთა ოპერატიული მოქმედება, სამოქმედო პროგრამის ახლებურად დასახვაა აუცილებელი.

## ვულოცავთ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 27 დეკემბრის ბრძანებულებით „დედობის მედლით“ დაჯილდოებული არიან დედების ჯგუფი. მათ შორის ცაგერის რაიონიდან: „დედობის მედლის“ III ხარისხის მედლით — **გულნაზ დიდიმის ასული ნემსწვერიძე**, დიასახლისი, სოფელი ორბელი, რომელმაც შობა და აღზარდა შვიდი შვილი.

ვულოცავთ ქალბატონ გულნაზის საპატიო ჯილდოს.

## ჩვენი სოფლის ადამიანები

## მშვიდობა იყოს ქვეყნად და...

სოფელში გამორჩეული კაცია შრომისმოყვარეობით, სინდის-ნამუსით. ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნე რუბენ ერისტოს ძე ნემსწვერიძემ ასე მოაღწია დღემდე და ახლა უკვე 60 წელს მიღწეულს რაღა შეუცვლის ცხოვრების აზრს. ერთი დღეც არ ახსოვს უქმად გაეტარებინოს. გუთნით ხნავდა და თესავდა, ბარით ებრძოდა მიწას, მოწეულ ჭირნახულს ურმით ეზიდებოდა, მომავალს იმედით შეჰყურებდა, რწმენით ეჭიდებოდა საქმეს. ასე იწერებოდა პირველი ციფრები, რუბენი და მისნაირი მშრომელი ადამიანებით იქნებოდა კოლმეურნეობის ეკონომიკა.

აქვე, თავისსავე სოფელში დაფუძნდა, შექმნა ოჯახი. ორი შვილი გაზარდეს მან და მისმა მეუღლემ. იჯარა დაინერგა და საიჯარო შრომაში ჩაება. 0,2 ჰექტარი ვენახი და 0,3 ჰექტარი სასიმინდე ყანა აიღო მუშა კაცმა. მაინც რა არის ეს უამინდობა, მუშა კაცს რომ ვერაფერს აკლებს, უქნარას კი მიზეზად აქვს მომარჯვებული. ასე იყო გასულ წელსაც. რუბენს იჯარით აღებული ნაკვეთიდან ხელშეკრულების თანახმად 1300 კილოგრამი ყურძენი უნდა მოეწია. მან კი 1484 კილოგრამი ჩააბარა, სასიმინდედანაც კარგი მოსავალი მიიღო, 225 კილოგრამი კოლმეურნეობას ყოველგვარი შეხსენების გარეშე მისცა, არც ლობიოს მოსავალს ემდუროდა და 40 კილოგრამი მიუწონა.

საზღაურითაც არ არის უკმაყოფილო, ყურძნის მოსავლიდან 646 მანეთი მიიღო, 900 კილოგრამ სიმინდს და 100 კილოგრამზე მეტ ლობიოს კი ოჯახური საჭიროებისათვის მოიხმარს.

შრომას არასდროს გაურბოდა და მითუმეტეს ახლა უფრო მეტი მონდომებით იშრომებს, — ოღონდაც მშვიდობა იყოს ქვეყანაზე და დალლა რას მიქვიაო, როგორც ყველა ქართველს, მასაც აღელვებს მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში შექმნილი მდგომარეობა და ამიტომაა, რომ დაბეჯითებით ამბობს — არამც და არამც მსგავსი რამ ჩვენს რესპუბლიკაში არ უნდა განმეორდესო.

ქართველი კაცი ყოველთვის თავის უდრეკ ბუნებას, სიკეთესა და სამართლიანობისათვის ბრძოლას გადაურჩენია. საჭიროების შემთხვევაში გლეხკაცი ცალ ხელში ხმალს დაიჭერს, მეორეთი კი გუთანს მოეკიდება. ჩვენი ხალხის ამ თვისებამ მოიყვანა საქართველო დღემდე.

ჯ. მანდარია.



ეს ახალგაზრდა ქალი ტვიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, ოთხი შვილის დედა გულინა გოლეთიანია. სვანეთში გაზრდილდაბადებულს პირუტყვის მოვლა-შენახვა არ ესწავლება და დიდი ხანი არ არის, რაც მეუღლესთან ერთად მეცხოველეობის ფერმაში დაიწყო მუშაობა.

სასოფლო საბჭოს დეპუტატს კარგად აქვს შეგნებული, რომ დღევანდელი სიტუაცია, ის ეკონომიკური ჩავარდნები, რაც მთლიანად ქვეყანაში, რესპუბლიკაში და ჩვენს რაიონში შეიმჩნევა, თითოეული მშრომელის აქტიურობას, სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის ზრუნვას მოითხოვს. ახლა, როცა ფერმაში საიჯარო შრომის დანერგვაზეა ლაპარაკი, ერთი წუთითაც არ შეყოვნდება, ფერმას ოჯახურად დაეპატრონება, გულინა და მისი მეუღლე დათო გოლეთიანი, შვილებსაც მოიხმარენ, სწავლის შემდეგ თავისუფალი დრო რომ ამ სასიკეთო საქმისათვის გამოიყენონ, მაგრამ საკვების პრობლემა აწუხებთ, რადგან ტვიში რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს შორის, სათიბ-საძოვრების მხრივ ყველაზე დიდ სიმცირეს განიცდის.

გარდა იმისა, რომ უვლიან კოლმეურნეობის ვენახის ნაკვეთს, გულინა გოლეთიანის ახალგაზრდა ოჯახი საკარმიდამო მეურნეობაში ნაწარმოები სასურსათო პროდუქტების დამზადების საქმეშიც აქტიურობს. სახელმწიფოს ჰყიდიან ხორცს, ყველს, ყურძენს, ხილს და ოჯახშიც ბარაქა და სიუხვე აქვთ.

## კვლავ გამარჯვება

ცაგერის პროფესიონალურ სახანძრო ნაწილში ტრადიციად დამკვიდრდა ვალებულ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება, რესპუბლიკის პროფესიულ სახანძრო ნაწილებს შორის გამარჯვება და საპრიზო ადგილების მოპოვება. ასე იყო გასულ 1989 წელსაც.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს ცენტრალურმა კომისიამ შეაჯამა რესპუბლიკის პროფესიული სახანძრო ნაწილების მიერ გაწეული მუშაობა და ცაგერის პროფესიონალური სახანძრო ნაწილი №112 ცნობილი იქნა გამარჯვებულად, მიენიჭა რესპუბლიკაში მეორე ადგილი, დაჯილდოვდა ფულადი პრემიითა და საპატიო სიგელით.

ეს გამარჯვება სტიმულს გვაძლევს კოლექტივს უკეთ ვიმუშაოთ მიმდინარე წელს, კვლავ ახალი გამარჯვებებით ვასახელოთ მშობლიური რაიონი.

მ. გენდელიანი,
ცაგერის პროფესიონალური სახანძრო ნაწილის უფროსის მოადგილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაზრისი

# მე მაინც ვფიქრობ

ვაეცანი 24 იანვრის გაზეთ „ნორჩ ლენინელში“ დაბეჭდილ მასალას „დაე, ბავშვებმა თვითონ გადაწყვიტონ“. აქ დაბეჭდილია საქართველოს პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს პლენუმის მასალები. სათაურის მიხედვით უკეთეს მასალას ველოდი.

პირველ კლასში რომ შევედი იმ დღეს რა დამავიწყებს. მშობლის თანხლებით ბარდნალის საშუალო სკოლაში გამოვცხადდი და წინა მერხთან დავიკავე ადგილი. ვამაყობდი, რომ უკვე მოსწავლე ვიყავი. ოთახში მორიგე მასწავლებელი შემოვიდა და სკოლის ეზოში გაგვიყვანა ცოდნის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად. ამავე შეკრებაზე მიგვიღეს ოქტომბრელთა რიგებში და ოქტომბრელთა კანონებიც გაგვაცნეს.

წარჩინებულად ვსწავლობდი. უკვე მესამე კლასში ვიყავი და ვასრულებდი მასწავლებელთა ყოველგვარ დავალებას. მოახლოვდა 19 მაისი, პიონერული ორგანიზაციის შექმნის დღე. მესამე კლასელები განსაკუთრებულად მოველოდით ამ სანატრელ დღეს. კლასის ხელმძღვანელმა ლუბა ჩაკვეტაძემ გაგვაფრთხილა, რომ ამ დღეს საზეიმოდ მიგვიღებდნენ პიონერული ორგანიზაციის რიგებში. მთელი თვის განმავლობაში ვღელავდი, რაღაც სიდიადეს ვგრძნობდი, სულ პიონერული დავალებების შესრულებისათვის ვოცნებობდი.

დადგა ნანატრი დღეც, 19 მაისი. მთელი სკოლის მოსწავლეები მოედანზე გამოიყვანეს და ჩვენს საზეიმო ღონისძიებას დაესწრნენ. თითოეულ ჩვენთაგანს ყელსახვევი ბე-8 კლასის მოსწავლეებმა გაგვიკეთეს, გვითხრეს: „ღირსეულად ატარეთ პიონერის სახელი“. ძლიერ მიყვარდა და მიყვარს პიონერული მუშაობა.

ახლა კომკავშირის რიგებში ვარ მიღებული და ჯერ კომკავშირული მანდატი არ მიმიღია. ველოდები ნანატრად მის მიღებას, მაგრამ ნეტავ იცოდეთ როგორ მტკენს გულს რადიოთი თუ ტელევიზიით, როცა ვისმენ შეხედულებებს პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების თითქოს „არარაობის“ შესახებ.

ჩემის აზრით, უნდა განმტკიცდეს კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის არსი. ამის საფუძველი იქნება ის, რომ ვიმსჯელოთ იმ ნაკლოვანებებზე, რომელიც ამა თუ იმ ახალგაზრდას გააჩნია. ჩვენი პიონერები და კომკავშირელები შრომაშიც, და სწავლაშიც სახელს პოულობდნენ. ახლაც გამოირჩევიან სიცოცხლის უნარიანობით და აქტივობით. ჯართის, მაკულატურის, კურკოვანი თუ კენკროვანი ხილის შეგროვება და ჩაბარება, კოლმეურნეობაში სასარგებლო სამუშაოების შესრულება და სხვა მრავალი ახალგაზრდობის ინიციატივით სრულდება.

ჩვენ შთაგვაგონებდნენ: რომ ძმობის, ერთობის, სოლიდარობისა და ურთიერთ პატივისცემით უნდა ცხოვრობდეს ყველა ერი და ეროვნება. ეს ასეც იყო. რაოდენ დასანანია, რომ ამ ბოლო პერიოდში —ძმობა—ერთობის მატარებელ ქართველ ხალხს ხან ოსები, ხან აფხაზები თუ აზერბაიჯანელები უტევენ და ათასგვარ უმსგავსობას სჩადიან. სურთ ქართველ ერს სახელი გაუტეხონ, ნაციონალისტობა დასწამონ. მღელვარებას ვერ ვფარავ, უფროსი უფროსია და კიდევ პო!.. ჩვილზე სასიკვდილოდ ხელის აღმართვა? სანამ უნდა იპარპაშონ სისხლის მსმელებმა?

სხვა მრავალი რამ აწუხებს ჩემს ნორჩ გულს... ყველაზე უფრო ის, რომ გვესმის უფროსების გოდება და წუხილი: რა ეშველება ახალგაზრდობას, თუ ქვეყანა ძველებურად არ ჩაწყნარდაო.

ჩემი სურვილია დამყარდეს ქვეყნად მშვიდობა, გვექნეს სიუხვე და სასკოლო ორგანიზაციები—პიონერული და კომკავშირული კი არ გაუქმდეს, არამედ გათვალისწინებულ იქნას ამ ორგანიზაციათა ნაკლოვანებანი, უარყოფითი მხარეები და ვიმუშაოთ ახლებურად, დახვეწილი ფორმით.

მე მწამს, რომ დიდი ბრძოლით მოპოვებული ორგანიზაციები თავის პოზიციას არ დათმობენ და კვლავ ავანგარდულ როლს შეასრულებენ მოსწავლეთა სწავლისა და სამშობლოსათვის ბრძოლისა თუ შრომის საქმეში.

**ნანა თუთისანი,**
ბარდნალის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე.

# იგი მოწინავეა



თამაზ რაუდენის ძე სილაგაძე გამოცდილი მძღოლია. ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოში იგი კარგი ავტორიტეტით სარგებლობს. ეს ავტორიტეტი მან კეთილსინდისიერი მუშაობით დაიმსახურა. მოწინავე მუშაკი ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფო გეგმა-დავალებებს.

ავტობუსის მძღოლობა ადვილი როდია. მის ხელებს ყოველდღიურად ათეულობით ადამიანის სიცოცხლე აბარია. ვაჟკაცობა, ნებისყოფა, ამტანობა, პროფესიული ცოდნა—აი, ის თვისებები, რომლებიც უნდა ახასიათებდეს ავტობუსის მძღოლს.

სწორედ ეს თვისებები ხდიან მას პროფესიონალს. თამაზ სილაგაძე თავისი საქმის ოსტატია, ამიტომ მგზავრებიც მადლიერი არიან მისი.

სურათზე: თამაზ სილაგაძემ მშვიდობით დაამთავრა მორიგი რეისი.

ზ. გზობავას ფოტო.

ქმედითობა

# წინადადება შესრულდება

ჩვენი გაზეთის 18 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული წერილის „მოსაცდელი აუცილებელია“, რომელშიაც მახაშელი მშრომელები მოითხოვდნენ სოფელ მახაშის ბოლოს მარტივი ტიპის მოსაცდელის აშენებას. წერილის პასუხად ცაგერის საგზაო სამმართველოს მთავარი ინჟინერი ა. კვირკაშვილი გვატყობინებს, რომ მშრომელთა მოთხოვნა სამართლიანია. სოფელ მახაშის ბოლოს მარტივი ტიპის მოსაცდელის მშენებლობას ჩავსვამთ 1990 წლის გეგმაში, ხოლო მშენებლობა დაიწყება მიმდინარე წლის მეორე კვარტალში, რითაც დროულად დავაკმაყოფილებთ მშრომელთა კანონიერ მოთხოვნას.

# მოლოდინი და

## რას მოწმობს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის

ჩვენ ყველას ჯერ კიდევ მოგვიწევს მტკიცედ გადავაჯვარედინოთ ხმლები საკუთრების საკითხის გარშემო. უმაღლესი საბჭოს უკანასკნელ სესიაზე პარლამენტართა პოლარული აზრები ისე გაათრებით შეეჯახნენ ერთმანეთს, რომ მთავრობის მეთაურის კითხვა: „კი, მაგრამ ხალხს აღარ ვკითხოთ?“ გაისმა როგორც გამაფრთხილებელი გასროლა, როგორც გამოსაფხიზლებელი მოწოდება გაცხარებულ ორთაბრძოლაში.

ხალხს ჰკითხეს—საკუთრების შესახებ კანონის პროექტი მის სამსჯავროზე გაიტანეს. მაგრამ რას ფიქრობს ხალხი მის შესახებ?

ხალხი კი ისევ ფიქრობს, როგორც მის მიერ არჩეულნი ფიქრობენ. წინააღმდეგობრივად. ასეთია სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგთა დასკვნა. რასაკვირველია, არასაბოლოო—ამ საჭირბოროტო პრობლემის გარშემო ვნებები ღვივდება. მაგრამ ამჟამად გამოკითხვამ უკვე გამოავლინა, რომ საზოგადოებრივ შეგნებაში ყალიბდება კერძო საკუთრების როგორც სრული აღქმა, ასევე კატეგორიული უარყოფაც. 28 პროცენტმა მთლიანად მხარი დაუჭირა, 34-მა ნაწილობრივ, 23 წინააღმდეგია და ყოველ მეშვიდეს ჯერ კიდევ ვერ გამოურკვევია თავისი დამოკიდებულება მისდამი.

ამასთან, არსებითად, თითოეულ სოციალურ ჯგუფში ასეთივე აზრთა პოლარიზაციაა. სრული ერთსულოვნების დრო წარსულს ჩაბარდა. და აი ვინც საკუთრების შესახებ კანონის პროექტი მოამზადა, უკვე საგონებელშია ჩავარდნილი—მთლიანად მხოლოდ გამოკითხულთა 15 პროცენტია კმაყოფილი.

საკუთრებისადმი დამოკიდებულება მხოლოდ ერთ-ერთი ასპექტია ოპერატიულ საკავშირო გამოკვლევათა, რომლებიც მოაწყვეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის მუშაობის დაწყების წინ და მუშაობის დროს სოციოლოგებმა, რომელთაც ხელმძღვანელობს პროფესორი ნ. პ. პიშჩულინი. ქვეყნის ყველა ძირითად ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რაიონში გამოკითხულ იქნა ათასობით ადამიანი, რომლებიც მოსახლეობის ძირითად სოციალურ-დემოგრაფიულ და სოციალურ პროფესიულ ჯგუფებს წარმოადგენენ.

გასაგებია ყრილობისადმი ის ცხოველი ინტერესი, რომელიც გამოიჩინა ანკეტაზე ან მკვლევართა ტელეფონით შეკითხვაზე მოპასუხეთა 72 პროცენტმა. ეს ინტერესი ხომ, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის სირთულესთანაა დაკავშირებული. შემთხვევითი არ არის დასკვნა: პირველ ყრილობასთან შედარებით მშრომელთა შეფასება უფრო კრიტიკული გახდა. ყველაზე გავრცელებული აზრი: (გამოკითხულთა 37 პროცენტი), ქვეყანაში კრიზისის წინა მდგომარეობაა. 31 პროცენტს კი იგი უკვე კრიზისულად მიაჩნია. მხოლოდ ყოველი მეოთხე განიხილავს სიტუაციას როგორც არაერთმნიშვნელოვანს — ერთი მხრივ ცუდია, მეორე მხრივ—კარგი. საერთოდ კი მთლიანად კმაყოფილთა რიცხვმა მხოლოდ ოთხი პროცენტი შეადგინა.

ამიტომაც არის, რომ პარლამენტართა ძალისხმევა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის საძიებლად ხშირად მოგვაგონებს იმ ფრინველის შეუპოვრობას, რომელიც გალიიდან გათავისუფლებას ლამობს. დიდია მოუთმენლობა, აჩქარება, მცირეა განსჯა და რეალობის გრძნობა. გამოკითხულთა დაახლოებით 63 პროცენტს არ აკმაყოფილებს პარლამენტართა ძალისხმევა ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის. ამასთან ყოველი ასი კაციდან 35-მა აღიარა, რომ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა სესიის მუშაობამ მთლიანად ვერ გაამართლა მათი იმედები და მოლოდინი, 49—რომ ნაწილობრივ გაამართლა.

ალბათ, ყველაზე მეტი კმაყოფილება გამოიწვია საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ კანონის პროექტმა. პროექტით კმაყოფილი მთლიანად ან ნაწილობრივ აღმოჩნდა მკვლევარების მიერ გამოკითხულ პირთა 79 პროცენტი. მაგრამ აი უნებურად იბადება კითხვა—ყველამ თუ მიაქცია ყურადღება კანონპროექტის შესახებ სამთავრობო მოხსენების იმ ნაწილს, რომელიც შეიცავს გაფრთხილებას: ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაციის სერიოზული გამოსწორების, საზოგადოებრივი დოვლათის დაგროვების გარეშე პენსიების მომატების იმედი მეტი რომ არ ვთქვათ, თავის მოტყუებაა.

უფრო გონივრული და კრიტიკული მიდგომა გამოვლინდა ისეთი ძირეული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის პრობლემებისადმი, როგორიცაა ახალი კანონმდებლობით განმტკიცებული სანარდო ურთიერთობა და ის პერსპექტივები, რომლებსაც მიწის შესახებ კანონის პროექტი იძლევა. ამით მთლიანად კმაყოფილია, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ მოსახლეობის 18-19 პროცენტი. მართალია, უფრო მეტად კმაყოფილი არიან კოლმეურნეები: შესაბამისად 23 და 28 პროცენტი. საშუალოდ ყოველი მეხუთე უკმაყოფილოა ამ სახელმწიფო აქტების შინაარსით, ხოლო 35-37 პროცენტი მათ დადებითი პლანით მხოლოდ ნაწილობრივ აღიქვამს.

სოციოლოგები ადასტურებენ, რომ მუშათა წრეში ამ სიტუაციას აფასებენ როგორც კრიზისულსა და კრიზისისწინას—70 პროცენტი. ნეგატიურ შეფასებას ვხვდებით პარტიულ მუშაკთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თეორიულ - პრაქტიკული კონფერენციის შესახვედრად

# მივხედოთ დედა ბუნებას

ბუნების დაცვის საკითხებს უკანასკნელ წლებამდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა, როგორც საქართველოში, ასევე ჩვენს რაიონშიც. მაღალი ტრიბუნიდან კი სიამაყით გვიძახოდით, თუ რამდენი მილიონი მანეთი დავხარჯეთ, რათა ბუნებისათვის წაგვეგლიჯა უამრავი სიმდიდრე, გაგვეხრიოკებინა ათასობით ჰექტარი ფართობი, დაგვეჭაობებინა, მწყობრიდან გამოგვეყვანა ათასობით ჰექტარი სავარგული, გაგვეჩეხა ტყის მასივები, მოგვეწამლა და უვარგისი გაგვეხადა მდინარეები, გადაგვეშენებინა ნადირფრინველი, გაგვეჭუჭყიანებინა ატმოსფერული ჰაერი. ბუნებისადმი ასეთმა მიდგომამ თუ რა შედეგი გამოიღო, მის დასანახად შორს წასვლა არ დაგვჭირდება, ჩვენი რაიონის ტერიტორიაზე შექმნილი ეკოლოგიური პრობლემების განხილვაც კმარა.

რაიონის სახნავ-სათესი ფართობის 70 პროცენტი 15 გრადუსზე მეტი დახრილობის ფერდობებზეა განლაგებული. ასეთი ფართობების მძიმე მექანიზაციით დამუშავება და მასზე ერთწლიანი სათოხნი კულტურების დათესვა კანონით იკრძალება, მაგრამ ამის მავნებლობის შესახებ დღემდე არავის უფიქრია. ტრაქტორებმა დაღმა ხვნამ და დაღმა ფარცხვამ საკმაოდ დიდი როლი შეასრულა სხვა ფაქტორებთან ერთად. მეწყრული მოვლენებისა და ეროზიის ასე მძლავრად გააქტიურებაში, რომლებმაც დამანგრეველი შედეგები მოგვცა ლუხვანოში, ქვედა ცაგერში, გვესოში, წილამიერში, ორბელში, ორხვში, ჩხუტელსა და სხვა სოფლებში.

ნიადაგის ეროზიის, მეწყრებისა და ღვარცოფების წარმოქმნაში, რომლებიც ასე გახშირდა ჩვენს რაიონში, განსაკუთრებული როლი ითამაშა ტყის უმოწყალო ექსპლოატაციამ. ორბელის სატყეო უბანში მთელი 12 წლის მანძილზე ხდებოდა ხე-ტყის დამუშავება ამბროლაურისა და წალენჯიხის ტყემრეწვის მიერ, საიდანაც გაროდა იმისა, რომ გამოტანილ იქნა 100 ათას კუბურ მეტრზე მეტი სამასალე წიფლის მერქანი, გზებით დაისერა ტყის მასივები, გზების გაყვანის დროს აფეთქებისაგან დაზიანებულ და განადგურებულ იქნა ახალგაზრდა მცენარეები. მთის ქანის ჩამონაშალებით აივსო ხევები, რომლებიც ჩამორეცხილ იქნა მდინარე ლაჯანურის ხეობაში, რამაც გამოიწვია ხეობის ამაღლება და საფრთხე შეუქმნა ორბელის, ლაჯანის, ლაცორიის, სპათაგორის მოსახლეობას, ნაწილთა საცხოვრებელი სახლები დაანგრია კალაპოტამაღლებულმა ლაჯანურმა.

ადამიანის, მათ შორის მოზარდი თაობის ჯანმრთელობის საუკეთესო კერას წარმოადგენს ადგილობრივი კურორტი ახალჭალა. მაგრამ მის მიმდებარე ტერიტორიაზე ბოლო წლებში მასობრივად იჭრება ახალგაზრდა წიწვიანი ხეები, რომელთა დიამეტრი 60 სანტიმეტრს არ აღემატება, ხოლო სახლის სამასალედ იჭრება 20-30 სანტიმეტრი დიამეტრის მქონე ახალგაზრდა ხეები. მიგვაჩნია, რომ აგარაკ „ახალჭალის" მიმდებარე ტერიტორიაზე აკრძალული უნდა იქნეს ყოველგვარი სახეობის ჭრები, წინააღმდეგ შემთხვევაში,ამ უნიკალური კურორტიდან აღარაფერი დაგვრჩება. სანამ გვიან არ არის, ამ საქმეს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, თორემ მომავალი არ გვაპატიებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ღელეების მიმდებარე ეროზირებულ ნიადაგებზე გაშენებული ტყეების დაცვა სოფლად მოშენებული თხებისა და ზოგიერთი უგუნური ადამიანისაგან. ეს საქმე ხელში უნდა აიღონ სასოფლო საბჭოებმა, დეპუტატებმა, კოლმეურნეობათა გამგეობებმა, სატყეო მეურნეობებმა, ყველა გონიერმა ადამიანმა. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ტყის ძვლავწარმოების სამუშაოებს, ეროზირებული ნიადაგების გატყიანების და მოვლის საკითხებს.

ჩვენი რაიონის ცენტრი, ქალაქი ცაგერი, ალბათ იმ მცირე ქალაქთა რიცხვშია, რომლებსაც არცერთი გამართული საკანალიზაციო სისტემა არ გააჩნია, რომ არაფერი ვთქვათ ნახმარი წყლების გამწმენდ ნაგებობაზე. არ სრულდება ზემდგომი ორგანოების დადგენილება ობიექტის მშენებლობისას, პირველ რიგში, გამწმენდი ნაგებობების მშენებლობის სამუშაოების შესრულებაზე, შენდება შენობა-ნაგებობები, გამწმენდი ნაგებობა კი აუშენებელი რჩება. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ამ ორი წლის წინ ექსპლოატაციაში გაშვებულ სასტუმრო „ლეჩხუმის" საკანალიზაციო სისტემა და გამწმენდი ნაგებობა. ასევე 115 ათასი მანეთიდან 58 ათას მანეთამდე შეამცირეს სასურსათო კომბინატის მშენებარე გამწმენდი ნაგებობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, საიდანაც დღემდე მხოლოდ 9 ათასი მანეთია ათვისებული. მშენებარე 48-ბინიანი სახლის საკანალიზაციო სისტემა პროექტის მიხედვით ჩართული უნდა იქნეს უკვე მოქმედი 48-ბინიანი სახლის გამწმენდ ნაგებობაზე, რაც ფაქტიურად არ არსებობს. ანალოგიური მდგომარეობაა რაისაავადმყოფოს მშენებარე კორპუსის გამწმენდ ნაგებობაზე და სხვა. აღნიშნული საკითხი სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს. აუცილებელია სხვადასხვა ორგანიზაციის წილობრივი მონაწილეობით აშენებულ იქნეს მძლავრი გამწმენდი ნაგებობა, რომელიც უზრუნველყოფს ნახმარი წყლების გაწმენდას.

ჩვენი რაიონის ეკოლოგიური პრობლემების გამწვავებაში განსაკუთრებული როლი მიუძღვის ლაჯანურჰესის წყალსაცავს, რომელმაც ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ, 1959 წლიდან, მკვეთრად შეცვალა მიკროკლიმატი, რამაც გამოიწვია რეგიონში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მკვეთრი შემცირება, მდინარე ცხენისწყალსა და მდინარე ლაჯანურის გადამკეტ კაშხალებში დაგროვდა ნატანის დიდი რაოდენობა, რამაც გამოიწვია მდინარეთა კალაპოტების მკვეთრი ამაღლება, მდინარე ცხენისწყალმა ამ მიზეზით ბოლო ხუთ წელიწადში წაიღო [illegible] ჰექტარი მრავალწლიანი ნათესი ბალახების ფართობი, 150 ჰექტარი ტყე-ბუჩქნარი და 200 ჰექტარი სახნავი მიწა. მდინარე ლაჯანურისაგან წაილეკა რამდენიმე მოსახლე და საშიშ ზონაშია 105 მოსახლე. სწორი მოთხოვნაა, რომ ლაჯანურჰესის მიერ მიღებული მოგების ნაწილი მოხმარდეს რეგიონში შექმნილი ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებას.

რაიონში საკმაოდ მომრავლდა ნავთობპროდუქტებზე მომუშავე ღუმელები, ქალაქის გათბობის ცენტრალური საქვაბის, სასურსათო კომბინატის საქვაბის, ქალაქის ნახევრადმექანიზებული პურსაცხობის, ცაგერის №23 საგზაო-სამმართველოს ასფალტ-ბეტონის საკვამლე მილებიდან სისტემატურად გამოიფრქვევა მავნე მტვერი და აირები, ბინძურდება ატმოსფერული ჰაერი, მტვერდამჭერი და გაზგამწმენდი ფილტრების დაყენებაზე არავინ ზრუნავს.

ჩვენი რაიონის ტერიტორიაზე შექმნილი ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება მოითხოვს ბუნების დაცვის საქმეში არსებული პრობლემების დაძლევას, რისთვისაც უნდა იღვაწონ ყველა მოწოდებულმა ორგანიზაციამ, ჩვენი კუთხის ყველა მცხოვრებმა, თორემ მომავალ თაობებს ჩვენი ლამაზი მხარიდან საამაყო აღარაფერი დარჩებათ.

**თ. კოპალიანი,**
ბუნების დაცვის სახელმწიფო ინსპექტორი.

---

# შ ე ფ ა ს ე ბ ა ნ ი
## მეორე ყრილობის შესახებ
## შედეგები

68 პროცენტში, რაც უფრო იშვიათია, ვიდრე სტუდენტებსა და ინტელიგენციას შორის, ხოლო უფრო ხშირი, ვიდრე პენსიონერებსა და კოლმეურნეთა შორის. დამახასიათებელია დასკვნა. ამ საკითხში პარტიის წევრებისა და უპარტიოების პოზიციებს შორის არსებითი განსხვავება არ შეიმჩნევა.

მაგრამ ადამიანებს მარტო ძეხვისა და საპონის უქონლობა როდი აწუხებს. საზოგადოებრივ აზრში ყველაზე უფრო აქტუალური, როგორც ეს მკვლევარებს მიაჩნიათ, ეკონომიკის გაჯანსაღებასთან ერთად არის კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების პრობლემები. იმ საკითხთა რიცხვში, რომლებიც ყრილობის განსახილველად იქნა შეტანილი, გამოკითხულთა 82 პროცენტი ყველაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ორგანიზებულ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას. თავისი მნიშვნელობით შემდგომი ადგილი უკავია ეკონომიკის გაჯანსაღების ღონისძიებებს, მომდევნო კი — კონსტიტუციური ზედამხედველობის კანონს.

ისევე როგორც დეპუტატთა შორის, არაერთმნიშვნელოვანია საზოგადოების დამოკიდებულება სსრ კავშირის კონსტიტუციის მეექვსე მუხლის მიმართ. წინასაყრილობო გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ დაახლოებით ყოველ მესამეს მიაჩნია: ძირითადი კანონიდან ეს მუხლი ამოსაღებია, ერთი მესამედი თვლის, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საჭიროა ამ საკითხის შესწავლა. საშუალოდ ყოველმა მეხუთემ გამოთქვა აზრი მეექვსე მუხლის შენარჩუნების შესახებ. ამ მხრივ პარტიული მუშაკები გამონაკლისი არ არიან. ყველაზე დიდი ერთგულება არსებული კონსტიტუციური დებულებისადმი გამოხატეს კოლმეურნეებმა (33 პროცენტმა მოითხოვა, რომ დარჩეს მეექვსე მუხლი, 27 პროცენტმა—დამატებით იქნეს შესწავლილი, 17 პროცენტმა—ამოღებულ იქნეს).

რაზე ამყარებენ თავიანთ იმედებს ჩვენი თანამოქალაქენი, საზოგადოებრივი აზრით რომელი სოციალური ინსტიტუტი მიაჩნიათ უფრო ავტორიტეტულად? დღეს იმ პირთა 80-81 პროცენტი, რომელთაც თავიანთი აზრი სოციოლოგებს გაანდეს, ქვეყანაში საქმის მდგომარეობის გამოსწორების იმედს უკავშირებს სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და ყრილობის საქმიანობას.

59-60 პროცენტს პარტიისა და სკკპ ყრილობის იმედი აქვს. უკიდურესად დაბალია საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისადმი, სამინისტროებისა და უწყებებისადმი, არაფორმალური მოძრაობებისადმი ნდობა. მხოლოდ 18-27 პროცენტი ასე თუ ისე ამყარებს იმედს ამ ინსტიტუტებზე.

უკვე ყრილობის შემდეგ ერთმა დეპუტატმა რიტორიკული კითხვა დასვა: „მე თუ მშიერი ვარ, რა მნიშვნელობა აქვს— მექნება თუ არა დემოკრატიული თავისუფლებანი"? განსხვავება, როგორც ჩანს, მაინც არის. მშრომელთა 70 პროცენტზე მეტი მთლიანად ან ნაწილობრივ კმაყოფილია საჯაროობის განვითარების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების განვითარებისათვის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობით.

(საკდესი).

---

# სოფელო, ჩემო ტკბილო

სხვისი ჭირი-ღობეს ჩხირიო, —ნათქვამია და ამაში უკვე დავრწმუნდით ქვედა ცაგერელები. არავის ანაღვლებს ჩვენი სატკივარი. სოფელს ისე გაუმრავლდა ჭირი, მის საწუხარს ასე ადვილად არ მოევლება, მაგრამ ჩვენ ხომ მხოლოდ ისეთ სატკივარს ვამხელთ, რომელთა მოვლა ადვილად შეიძლება, თუ ხელმძღვანელი პასუხისმგებლობით მოეკიდება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას. ამ პრობლემებზე გამუდმებით ვლაპარაკობთ, ვწერთ, ვის არ შევჩივით, მაგრამ ტყუილუბრალოდ — პრობლემა მაინც პრობლემად რჩება.

იმის გამო, რომ სოფლის მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის მიწოდებაში ხშირია წყვეტილობა, მოვითხოვთ ჩაგვრთონ ქალაქის ელექტროქსელში, ნუთუ ეს შეუძლებელია?

სოფელში არ არის საყოფაცხოვრებო მომსახურების არც ერთი ობიექტი. ჩვენი თანასოფლელები, ამ სფეროს სპეციალისტები კი ცაგერში მუშაობენ, ე. ი. კადრების პრობლემა არ არის. მაშ, რატომაა შეუძლებელი თუნდაც ერთი პარიკმახერის ქვედა ცაგერში მუშაობა—წლების მანძილზე რომ ვითხოვთ?

ჭიანურდება ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის შენობის აღდგენა, არადა, დაგვპირდნენ 1988 წელსვე დასრულებულიყო მშენებლობა. დღემდე ამაოდ ველოდებით. ნუთუ ასე ძნელია გამოყოფილი თანხების ათვისება და სკოლის მწყობრში ჩაყენება?

სოფელში არ არის პურსაცხობი, მაღაზია კი გამომცხვარ პურს იშვიათად იღებს. რახანია ვითხოვთ მარტივი ტიპის პურის საცხობის აგებას. შეუძლებელია?

სოფელს სასმელი წყალი ენატრება, თუმცა არის იმის საშუალება, ყველა ოჯახს ჰქონდეს იგი. ამისათვის აუცილებელია მწყობრიდან გამოსული წყალგაყვანილობის სისტემის წესრიგში მოყვანა. ესეც მიუწვდომელია?

კვლავ და კვლავ სასაყვედურო გვაქვს კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის მუშაკთა მისამართით, უვარგისია სატელეფონო ქსელი.

სოფლის მაღაზიის გვერდით რახანია დგას რამდენიმე ტონის ტევადობის სანავთე ავზი, რომელშიც ლიტრი ნავთი არ ჩასხმულა. გაჭირვებისას მამა-პაპური ნავთის ლამპის გამოყენებაც გვიძნელდება. მაშინ, როცა საწვავი ტონობით იყიდება, ნუთუ ამასაც ვერავინ ხედავს?

ამ კითხვებს კიდევ ერთხელ ვსვამთ მოწოდებულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების წინაშე და გვინდა შევახსენოთ მათ, რომ დღეს, საჯაროობისა და დემოკრატიზაციის დღევანდელ პირობებში ხალხს შეუძლია გამოხატოს თავისი ნება, ხელმძღვანელობას მივანდობთ იმას, ვისაც გულთან მიაქვს ხალხის გასაჭირი, ვისაც შესწევს უნარი გადაწყვიტოს მშრომელთა პრობლემები.

**რ. ბაქრაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა გაზეთებიდან

# როგორ დაასაფლავეს სტალინი

...1961 წლის ოქტომბერი იდგა. მისთვის დამახასიათებელი გრილი, ღრუბლიანი, ნაცრისფერი დღეებით, კრემლის ყრილობათა სასახლეში კი მიმდინარეობდა სკკპ 22-ე ყრილობა. გადაწყვეტილება ი. ბ. სტალინის გვამის მავზოლეუმიდან გამოტანაზე მიღებულ იქნა 30 ოქტომბერს ი. სპირიდონოვის წინადადებით, რომელიც გამოვიდა ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის სახელით.

საბოლოო გადაწყვეტილება ჩანს მიღებული იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც შედგა 1961 წლის 31 ოქტომბერს.

როგორც კი მუშაობა დაიწყო პლენუმმა, მე მთავრობის შენობაში დამიბარა პირადი დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილემ პოლკოვნიკმა ვ. ჩეკალოვმა და მიბრძანა ერთი რაზმი მომემზადებინა სტალინის ნეშტის გადასასვენებლად ნოვოლევიჩის სასაფლაოზე.

შემდეგ ვ. ჩეკალოვი ტელეფონით მელაპარაკა და მითხრა, რომ იგი უნდა დაიმარხოს ლენინის მავზოლეუმის გვერდით, კრემლის კედელთან.

დღე ილეოდა. წითელ მოედანზე ბევრი ხალხი იროდა. დადიოდნენ ჯგუფებად, ახლოს მიდიოდნენ მავზოლეუმის სასტუმრო ტრიბუნებთან და ცდილობდნენ დაენახათ, რა ხდებოდა მავზოლეუმის გადაღმა.

ადამიანთა განწყობილება რომ გამერკვია, გადავიცვი სამოქალაქო ტანსაცმელი და გამოვედი წითელ მოედანზე. ადამიანები ჯგუფ-ჯგუფად გაცხარებული საუბრობდნენ. მათი შინაარსი შეიძლება ასეთნაირად ჩამოვაყალიბოთ: „რატომ გადაწყვიტეს ეს საკითხი ხალხთან შეთანხმების გარეშე?“

იმავე დღის 18 საათისათვის მილიციის რაზმებმა ხალხისაგან გაანთავისუფლეს წითელი მოედანი და ჩაკეტეს ყველა შემოსასვლელი იმ მოტივით, რომ უნდა მოეწყოს მოსკოვის გარნიზონის ჯარების ტექნიკის რეპეტიცია საოქტომბრო პარადისათვის.

როცა დაღამდა, ის ადგილი, სადაც საფლავი უნდა გაეჭრათ, ფანერით შემოღობეს და ელექტროპროჟექტორით გაანათეს. დაახლოებით 21 საათისათვის ჯარისკაცებმა ამოთხარეს საფლავი და მასში ჩადეს 10 ცალი რკინა-ბეტონის ფილა ზომით 100X75 სანტიმეტრი. მავზოლეუმის კომენდატურის თანამშრომლებისა და მეცნიერ მუშაკთა ძალებით სტალინის ნეშტი ამოიღეს სარკოფაგიდან და გადაიტანეს ფიცრის კუბოში, რომელსაც წითელი მატერია ჰქონდა შემოხვეული. მუნდირზე ოქროს შესაბნევები შეხსნეს და და უბრალოები დააკერეს. გვამს მუქი ფერის ვუალი გადააფარეს, ღიად დაუტოვეს მხოლოდ სახე და ნახევარი მკერდი. კუბო დაასვენეს მავზოლეუმის სამგლოვიარო დარბაზის გვერდით ოთახში.

22.00 საათზე მოვიდა დამმარხავი კომისია, რომელსაც ნ. შვერნიკი ხელმძღვანელობდა. ნათესავთაგან არავინ არ ესწრებოდა. იგრძნობოდა, რომ ყველას მძიმე განწყობილება შეექმნა, განსაკუთრებით ნ. შვერნიკს.

როცა კუბოს სახურავი დაახურეს, აღმოჩნდა, რომ ლურსმნები არ ჰქონდათ. მაგრამ ესეც მალე მოგვარდა პოლკოვნიკ ბ. ტარასოვის მეშვეობით (ის სამეურნეო განყოფილების უფროსი იყო). შემდეგ მოიწვიეს პოლკის რვა ოფიცერი, რომლებმაც ხელით ასწიეს კუბო და გამოასვენეს მავზოლეუმიდან გვერდითი გასასვლელით.

22 საათსა და 15 წუთზე კუბო მიიტანეს საფლავთან და იქვე დადგეს. საფლავის ფსკერზე რკინაბეტონის 8 ფილისაგან თავისებური სარკოფაგი გაკეთდა. 1-2 წუთიანი დუმილის შემდეგ კუბო ფრთხილად ჩაუშვეს საფლავში. კუბოზე 2 რკინაბეტონის ფილა უნდა დაეფარებინათ, მაგრამ პოლკოვნიკ ბ. ტარასოვის წინადადებით კუბოს პირდაპირ მიწა დააყარეს.

რუსული ჩვეულებით ზოგიერთმა ოფიცერმა (და მათ შორის მეც) მალულად თითო მუჭი მიწა გადავაყარეთ კუბოს და ჯარისკაცებმა მიწით ამოავსეს საფლავი და ზედ ფილა დაადგეს, რომელსაც სტალინის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღი ეწერა. ეს ფილა მრავალი წელი იდო ასეთი სახით, სანამ აქ ძეგლს (ბიუსტს) დაადგამდნენ.

**ფ. კონევი,**

კრემლის პოლკის ყოფილი მეთაური.

„არგუმენტი ი. ფაქტი“.



ირკუტსკის ოლქი. უსოლსკის რაიონის რამდენიმე მსხვილ მეურნეობას და საწარმოს აერთებს აგროკომბინატი „უსოლიე“. მისი შექმნიდან წლინახევრის მანძილზე შემუშავებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, გადამუშავების, შენახვისა და რეალიზაციის მწყობრი მექანიზმი. აგროკომბინატი წლიურად აწარმოებს 22 ათას ტონა ხორცს და იმდენივე რძეს, 250 მილიონ კვერცხს, 11 ათას ტონა ბოსტნეულს და კარტოფილს. მოგებაც დიდია — 35 მილიონი მანეთი.

ქალაქ უსოლიე-სიბირსკში და აგროკომბინატის მუშათა დასახლება ბელორეჩენსკში გახსნილია საფირმო მაღაზიები, სადაც იყიდება საწარმოს ზეგეგმითი პროდუქცია.

აგროკომბინატის მეღორეობის მეურნეობის შებოლვის საამქროში დაიწყო შებოლილი ძეხვის გამოშვება.

სურათზე: ოპერატორი დიმიტრი გოდოლობოვი სამუშაოზე.

ე. ბრიუხანენკოს ფოტო.

აღამიანი ჯანმრთელი რომ იყოს

# ღამე მშვიდობისა

არასოდეს მოიკლოთ ძილი — ეს არის ყველაზე უაზრო და ჯანმრთელობისათვის მავნე ეკონომია! ღამით უნდა გეძინოთ სულ მცირე 7 საათი მაინც. დასაძინებლად დაწექით ერთსა და იმავე დროს (შესაძლებლობის ფარგლებში). საწოლი ოთახი კარგად უნდა იყოს განიავებული. აუცილებელია ჩუმი გარემო. ადამიანს ღამით უნდა ეძინოს — ეს ფიზიოლოგიური კანონია და მისი დარღვევა სასურველი არ არის, თუმცა არის წარმოებები, სადაც აუცილებელი ხდება ღამით მუშაობა. ამ შემთხვევაში სამუშაოს შემდეგ აუცილებელია დღისით ხანგრძლივი ძილი და დასვენება.

კარგად რომ გეძინოთ, არ უნდა დაწვეთ შიმშილისა და წყურვილის გრძნობით, მაგრამ დაძინებამდე 3-4 საათით ადრე უნდა მიირთვათ საჭმელი, ხოლო ნახევარი საათით ადრე შეიძლება დალიოთ ერთი ჭიქა მაწონი, შეჭამოთ ვაშლი ცოტაოდენი შავი ქლიავი ან სტაფილო. კარგია ძილის წინ სუფთა ჰაერზე გასეირნება, შემდეგ თბილი აბაზანის მიღება.

**რედაქტორი**
**ნ. ნემსაძე.**

მეუღლე ზაგული, დედა დომნა, მამა დავითი, შვილები ნანა, ბექა, ჯემალი, ძმები სოზარი, რეზო, ბადრი, რძლები მერი მეშველიანი, ემალი მანაგაძე, გულიკო კოპალიანი, ქინვერ სილაგაძე, სიმამრი შოთა, სიდედრი გულო, ცოლიძმა გენური, ცოლიდები ზოია, ზაირა, იზოლდა, ხათუნა სილაგაძეები, ქვისლები გია ახვლედიანი, ალიოშა ბუაძე, ძმისშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჟორა დავითის ძე ლომთაძე**

დაკრძალვა 31 იანვარს, ოთხშაბათს, სოფ. ქულბაქში.

---

სოფელ ქულბაქის ახალგაზრდობა იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ჟორა დავითის ძე ლომთაძე.**

---

ბარდნალის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ როზა ასათიანს დედამთილის

**ოლია ასათიანის**

გარდაცვალების გამო.

---

და მაყვალა, ბიძები ოთარ, შოთა, დადაში, იაშა, მამიდები ნინა, ლოლა, რაისა ხაბულიანები, ბიძაშვილები ნანი, ზურაბი, რუსუდანი, სერგო, აზა, დათო, ავთო, მამია, ქეთინო, ნარგიზა, ვახტანგი, მარინე, დათო ხაბულიანები, მამიდაშვილები მთვარისა, ხათუნა, ბონდო კოპალიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლუიზა ტრიფონის ასული ხაბულიანი**

დაკრძალვა 1 თებერვალს, ხუთშაბათს, ხონის რაიონის სოფ. ივანდიდში.

---

უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ ელიშუქ ახვლედიანს დედის

**დაშა ანტონის ასულ ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო

---

თათუშა, რომან ყურაშვილები, კარლო ცვარიანი, სოსო გასვიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დაშა ახვლედიანი.**

---

ჯიმშერ, ამირან, ზაზა, ჯონი, ალექსანდრე ნემსწვერიძეები, მურთაზ ხეცურიანი, თენგიზ ქარდავა, ბაჩი და აბესალომ ჩანქსელიანები, პაატა არდანიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ქეთევან და გივი ასათიანებს დედის

**ოლია ასათიანის**

გარდაცვალების გამო

---

ლაჯანის საშუალო სკოლა-ინტერნატის X კლასის მოსწავლეები, აღმზრდელი და კლასის ხელმძღვანელი თანაუგრძნობენ მარინე ახვლედიანს ბებიის

**სონა ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო

---

ბარდნალის საშუალო სკოლის V-VIII-X კლასების მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელები ელზა კოპალიანი, რუსუდან ლაჭყეპიანი, მერაბ ქომეთიანი თანაუგრძნობენ მანანა, სოფიკო და შალვა ასათიანებს ბებიის

**ოლია ასათიანის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილი ელიშუქ ახვლედიანი, რძალი საშურა ონიანი, შვილიშვილები ნინო, ჩანა, ბახვა, სიძე მალხაზ შკუბულიანი, შვილთაშვილი ნატა, და ოლია, რძალი ნინა, მულები ვერა, ოლია, დისშვილები, ძმისშვილები, მულისშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დაშა ანტონის ასული ახვლედიანი.**

გამოსვენება 1 თებერვალს, ხუთშაბათს, 3 საათზე, ქ. ცაგერიდან, დაკრძალვა სოფ. დეხვირში.

---

მეუღლე ბუჭუ, დედა მინა, შვილები როლანდი, სოსო, შუქური, ნაზიკო, რძალი ხათუნა ცაგურია, სიძე ბორის უგრეხელიძე, ძმა ოთარ ლიპარტელიანი, და ბაბი, მამიდა ეკა, შვილიშვილები ფიქრია, ნათია, ძმისშვილები, დისშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ცაცა არსენის ასული ლიპარტელიანი-ბენიძე**

დაკრძალვა 1 თებერვალს, ხუთშაბათს, სოფ. ლარჩვალში.

---

ომარ და თემურ გაბიძაშვილები ოჯახებით თანაუგრძნობენ როზეტა და არდევან გაბიანებს მამთილისა და მამის

**გრამიტონ გაბიანის**

გარდაცვალების გამო.

---

და გოგუცა, ძმა კოსტა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გოგი (ლონგინოზ) ალექსის ძე სილაგაძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის და საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მარინე დარისპანის ასულ ირემაძეს ბიძაშვილის

**ბუჭუ ირემაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ბორის, ანზორ, ზაურ, ლავროსი ჭაბუკიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დაშა ახვლედიანი.**

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №36. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3., განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,

გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 1 ინდექსი 66539, ტირაჟი 4461

საქართველოს სსრ ბეჭვდითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.